# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებისა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ქუჩის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯ ე ჯ ი ლ ი“

(მესამე წელიწადი)

გამოვა 1892 წელსაც, ორთთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი—წერეთლისა.

კვირას, 8 დეკემბერს,

ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში



მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კარის არტისტი, წევრი ბერლინის საფიზიკო კაბინეთისა, ჩვენის დროის პირველი პრესტიდიჟიტატორი, კავალერი ორდენებისა „მეჯიდიესი“ და „ლომისა და მზისა“ ნ. ა. კაზლოვი გამართავს საგანგებო უკანასკნელს წარმოდგენას.

„სიკვდილით დასჯა“

ეს გამოგონილია 1850 წ. ცნობილის პროფესორის არნოლდ პეპის მიერ. ამ მეტოდით აქამდე ჯერ არც ერთს თვალთმაქცს არ გაუმართავს წარმოდგენა.

(2—2)

## ექიმი გმელიევი

ნასულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 4—5 საათზე. კუკიაში, რეუტოვის ქუჩა, სახლი № 8.

(12—1)


## ახალი ამბავი

*** უმაღლესის ბრძანებით თანაშემწე სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულისა კავკასიაში, ბ-ნი ი. ს. მედვედევი, სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულად დაინიშნა.

*** ამ დღეებში ტფილისის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას მოწერილობა მოუვიდა ფინანსთა სამინისტროსაგან, შეგვატყობინეთ ცნობანი: სპირტისა, ზეთის სახდელ თესლეულობისა, საქონლისა, ხორცისა, ტყავებისა, ბამბისა, ხე-ტყისა, ნავთისა და სხვ. წარმოებისა და ვაჭრობის შესახებ კავკასიაშიო. მოწერილობასთან ერთად საზოგადოებას პროგრამაც მოუვიდა იმისი, თუ რა წესით უნდა შეკრიბოს ცნობანი. ეს ცნობანი შემდეგ განხილული იქნება და დაიბეჭდება კიდეც.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ მიხეილ ხარიტონის ძის ინიაშვილისაგან 32 მანათი, მის მიერ ქალაქს ეკატერინოდარში შეკრებილი ალ. ყაზბეგის სასარგებლოდ. შემომწირველთა სიას დღევანდელს ნომერში ვბეჭდავთ. ალ. ყაზბეგის ფული დღევანდლამდე გვქონდა 272 მან. 40 კაპ. ამით შესდგა 314 მან. 40 კაპ.

*** გვაკვირვებს ამ ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების საქციელი. ისე ვაგონს არ შეჰხვდებით ქუჩაზედ, რომ ავსებით არ იყოს სავსე, ხალხი საფეხურებზედ არის გამწკრივებული და ვაგონში ტევა აღარ არის, მაგრამ აქამდე მაინც ვაგონების რიცხვის გამრავლებას არა ეშველა-რა, ბევრს შუა გზაზედ უარს ეუბნებიან, ადგილი არ არისო და უსახელო საზოგადოება-კი ამ თავისს სარგებლობას ვერ მიმხვდარა, ვაგონები ვერ მიუმატებია, რომ ვაგონით სიარულის მსურველნი დააკმაყოფილოს. ამას გარდა, ამ ბოლოს დროს ვაგონებს ისეთს ცხენებს უბამენ, რომ სწორედ ფარაონის მჭლე ძროხებსა ჰგვანან. იმედია, თუ ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოება არა, ქალაქის გამგეობა მაინც მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას.

*** 5 დეკემბერს ქალაქის გამგეობამ იჯარით გასცა მუხრანიანთ ქუჩის პირდაპირ გამართული ბორანი. საჯარო ვაჭრობის დროს იჯარა ისევ ძველს მოიჯარადრეს თათეოზ ქ—ს დარჩა წელიწადში 6,130 მან.

*** გაზაფხულზე საბოტანიკო ბაღის გაფართოებას აპირობენ. ჰსურთ ხევს გაღმა ადგილებიც შეისყიდონ და ბაღს შემოუერთონ.

*** სოფ. ჩუნჩხა (ახალქალაქის მაზრა): შარშან ღვინობისთთვეში, კავკასიაში „მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების“ სკოლების ინსპექტორი არხიმანდრიტი მ. ამბროსი ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში დაბრძანდებოდა და ათვალიერებდა იმ ადგილებს, სადაც საჭირო იყო სკოლების გამართვა. მ. ამბროსიმ, სხვათა შორის, საჭიროდ დაინახა სკოლის გამართვა ჩვენს სოფელშიაც, რომლის ახლო-მახლოც გამაჰმადიანებული ქართველები სცხოვრობენ. მამა არხიმანდრიტმა ურჩია ადგილობრივ მკვიდრთ თავიანთის ხარჯით სკოლის აგება. ჩუნჩხელებს ძალიან მოეწონათ ინსპექტორის რჩევა (მით უფრო, რომ მასწავლებლისთვის ჯამაგირის ძლევას „ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება კისრულობდა) და მართლაც მალე ააშენეს სოფლის ახლოს მშვენიერი სკოლის სადგური, რომელშიაც სამოცი მოსწავლე დაეტევა, ꟸ მასწავლებლისთვის ორი ოთახი და ერთიც სამზარეულო.

წლეულს, 15 ნოემბერს, კვლავ მობრძანდა მამა არხიმანდრიტი ამ ახალის სკოლის საკურთხებლად.

მეორე დღეს, დილის ცხრა საათზედ, სკოლის დარბაზი აივსო ადგილობრივ მცხოვრებლებით და ბავშვებით. სულ 51 ბავშვი ჩაეწერა სკოლის სიაში. კურთხევის შემდეგ მამა არხიმანდრიტმა დროის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და ხალხს დარიგება მისცა სწავლა-განათლების თაობაზე. ამასთანავე ყმაწვილებს ჯვრებიც დაურიგა.

*** სოფ. ოქონა (გორის მაზრა): წელს ჩვენი სასოფლო ეკკლესია განაახლეს, მაგრამ ამ მადლს მარილი-კი ვერ მოაყარეს. ეკკლესია გზის პირად არის, გარს არც ქვითკირის

## ფელეტონი

ახალი რომანი გ. წერეთლისა—„პირველი ნაბიჯი“.

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 260)

### III

მთავარი ქალი-გმირი რომანისა—ესმა მეტად ლამაზი, სათნო და პატიოსანი ქალია. იგი ამასთან გულკეთილია და შრომის მოყვარე. ესმა ტკბილად ეპყრობოდა მოსამსახურეებს. თუ ვინმეს შეჰნიშნავდა სიზანტეს, ან დაზარებას, თითონ აკეთებდა ხოლმე მოსამსახურის გასაკეთებელს.

„ისეთი მადლიანი სახე ჰქონდა ამ ღვთისგან ნაკურთხს ქალს, რომ მის შეხედვაზე, არამც თუ კაცი, მხეციც მოთვინიერდებოდა“.

ესმას განსაკუთრებულს თვისებას შეადგენდა ქმრისადმი ერთგულება. როგორ გამოვიდა ამისთანა ზნეობიანი ქალი ესმასაგან. ამ ივანე მთვრალ-რუსისა და „გამვლელ-გამომვლელთა ქინის მოსაკლავად“ ყოფილის სალომეს ქალისაგან, მერე იმისთანა დროსა და ადგილში, სადაც ათასნაირი ხალხი ბუზივით ირეოდა და ფულიც „ბჟირივით“ იყო,—ამაზე ისტორია არას ამბობს და ჩვენც უნდა გავჩუმდეთ. ხშირად ბიწიერმშობლებისაგან იბადება იდეალი უბიწოებისა და ზნეობისაო, ამბობენ და ჩვენც უნდა დავიჯეროთ.

ესმა, როგორც ჰხედავთ, ბუნებით დაჯილდოებულია სილამაზით; თავის დედის მომჭირნეობითა და მოხერხებით სძლევს ცხოვრებას ზოგიერთს შემავიწროებელს გარემოებათა და სცხოვრობს კარგად; შეუყვარდება ბახვა და, თითქმის თვინიერ ყოველგვარის ბრძოლისა და დაბრკოლებათა, მისთხოვდება იმას. ამაზე მეტი ჩვენ ბევრი არა ვიცით-რა ესმას შესახებ... რომანი ისეთს არას იძლევა, სადაც საჭირო ყოფილიყოს ესმასაგან სულიერი ბრძოლა, რომელიც ჰქმნის ადამიანის ხასიათს. ავტორი, მართალია, გვეფიცება და გვეუბნება, ესმა ასეთია, ისეთიაო, მაგრამ ნამდვილად, საქმით ჩვენ ვერა ვხედავთ ამ ქალს ისეთს მდგომარეობასა და გარემოებაში, სადაც მას გამოეჩინოს და დაემტკიცებინოს თავისი ასეთობა, ან ისეთობა. ერთის სიტყვით, რომანში ისეთი არაფერია, რაიცა ჰქმნიდეს ესმას გმირად ამ რომანისა. ამიტომ, თუმცა მკითხველს სჯერა, რომ ესმა ლამაზიც არის, პატიოსანიცა და შრომის მოყვარეც, მაგრამ მაინც მისს გონებაში, რომანის წაკითხვის შემდეგ, იგი რჩება თუმცა-კი ლამაზ, მაგრამ მაინც რაღაც უმარილო და მკრთალ ესმად.

ხასიათი ბახვასი ცოტა უფრო ცხადად და ნათლად გამორკვეული და დახატული უნდა იყოს. ღარიბ გლეხკაცის ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა ყმაწვილმა, დედმამის სახლიდამ შორს სადმე გადავარდნილმა, თავდა-პირველად ჯაფისა და წვალების ქარ-ცეცხლში გამოვლის შემდეგ მოკეთეთა შემწეობით გზა გაიკვალა აღებ-მიცემის ასპარეზზე, ლამაზი ქალი ცოლად შეირთო, მდიდრულად მორთულსა და მოწყობილს სახლში ცხოვრება დაიწყო და ბოლოს შესანიშნავი „გილდის“ ვაჭარი გამოვიდა. ყოველივე ესეთი გარემოება იშვიათი ამბავი არ არის მეგრელთა ცხოვრებაში. ბახვა ვაჭარია, აღებ-მიცემის კაცია, და არ შეიძლება ამ ტიპის ადამიანთა სენი იმასაც არ სჭირდეს: მოტყუება-გაიძვერაობას არ მისდევდეს. ასეც არის. მაგრამ ამით თქვენი სიმპატია ბახვასადმი ბევრით არა კლებულობს: ავტორს ბახვა პატარაობისას ისეთს გარემოებაში ჩაუყენებია, რომ თქვენ ბახვას დიდს ბრალს ვერა სდებთ. თუ კი განათლებული ინჟენერი არ თაკილობდა ტყუილის თქმას სიხარბითა და ანგარებით აღძრული, აბა რას იზამდა გამოუცდელი ახალგაზდა ყმაწვილი? ბახვამ დაინახა თუ არა ასეთი მაგალითი თვალ-წინა, უნებურად დაასკვნა: ქონების შეძენის საქმეში ამისთანა სიხარბე სათაკილო არა ყოფილაო. და, აი, როცა ინჟენერი ეუბნება, ასეთი და ასეთი კვიტანციები (ვსთქვათ არ-მიღებულის ფულების მიღებისა) მომეციო, იგიც იძლევა, მით უფრო, რომ ასეთის აპერაციით ბახვას კაი გამორჩომა აქვს. ერთის სიტყვით, ბახვა საშვალებებს მაგდენად არ არჩევს, ოღონდ-კი ფული იშოვოს. ტყუილად-კი არ დაურქმევია ავტორს ფუ-ლაძე-ო. თავისზე უფრო დაბალ და მისგან დამოკიდებულთა ბახვა ეპყრობოდა ლბილად და კაცთ-მოყვარებით. ასეთი იყო ბახვა, სანამ უბედურება არ ეწვია.

სულ სხვაა ბახვა ცოლის მოკვლის შემდეგ. უბრალოდ დანთხეულის ესმას სისხლის მაგიერ, ბახვა სცდილობს სამაგიეროდ დაღვაროს სისხლი იერემიასი. იერემია-კი ამ დროს გადადის „ქალაქს“ და პროტექციის მეოხებით შედის იქ სამხედრო სამსახურში. ცოტაოდენი სიმაღლე ბახვას ხასიათისა იმაშიაც იხატება, რომ ჯერ-ჯერობით თვითონ (თვითონ, თუ სხვა, ეგ სულ ერთია) არ იღებს ხელს იერემიაზე და უცდის მისს დასჯას კანონისამებრ.

ბახვა ამ შურის ძიებით გატაცებული „იმყოფებოდა ისეთს საპყრობილეში, რომელსაც ყოველივე მისი მოსაზრება, გარდა იერემიას ზღვევისა, დაებნელებინა“.

იგი, ამიტომ, წუნკალა ვექილის გავლენას მიეცა, „ლოთ-ჩარჩად“ გახდა, ქვეყანა და ცხოვრება შეიძულა, მაგრამ მაინც თავისი საწადელი, როცა უსამართლოდ მოღუნულმა კანონმა არა ჰქმნა-რა, ასე თუ ისე აღისრულა. აქედამ, თუმცა ასე გაირყვნა ბახვა, ასე დაეცა, მაგრამ რადგან მისი დაცემის მიზეზები ასე ცხადად თვალ-წინ უდგია მკითხველს და გამოხატულია რომანში, მკითხველი ზიზღით ახლაც ვერ უყურებს იმას. საზოგადოდ ბახვას ხასიათი, როგორც შუათანა ნიჭითა და ღირსებით შემკულის ადამიანისა, ბოლომდის სწორედ და ერთგვარად არის გაყვანილი.

იერემიას არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს რომანის შინაარსის მსვლელობაში, სანამ რომანის პირველი ნაწილი გათავდებოდეს. მართალია, მთელი ძაფი რომანისა თითქოს იმის მეოხებით ინასკვება და იმის შემწეობითვე იშლება,—მაგრამ მაინც ჩვენ იერემია ძალად აკვიატებულ ადამიანად მიგვაჩნია რომანის პირველ ნაწილისათვის. თქვენ შეგიძლიანთ იერემია სრულიად გამორიცხოთ რომანის პირველ ნა-

გალავანი არტყია და არც უბრალო ხის მესერი. სოფლის საქონელი ხშირადა ხვდება ამ ადგილს და ამიტომ დიდი სიბინძურეა ეკკლესიის გარეშემო. თუ მესერის გაკეთებას მოისურვებენ, ძლიერ ადვილად მოხერხდება ეს საქმე, ბ-ნთ ფალავანდიშვილებს მშვენიერი ტყეები აქვთ და, იმედია, რომ ეკკლესიის მესერისათვის საჭირო მასალას არ დაიშურებენ.

*** სოფელი სუნისი (გორის მაზრა): ჩვენი სოფელი ოქონის მრევლზეა მიწერილი და წირვა-ლოცვაზედ იქ დავდივართ, კარგა მანძილზედ. ეს არაფერი, მაგრამ ძნელი და გასაჭირი ის არის, რომ ამ ორს სოფელს შუა მდ. ფრონე ჩამოდის, რომელმაც ხანდახან ადიდება იცის. უფრო დიდს გაჭირვებაში დიდმარხვობითა ვართ, როცა ხალხია ხოლმე საზიარებელი. როგორც გინდა· ბრძანეთ და საშიშია ყმაწვილებისა და ქალების სიარული ყინვა-სიცივეში ერთის სოფლიდამ მეორეში. კარგს იზამდა სასულიერო მთავრობა, რომ ჩვენის სოფლის პატარა ძველს ეკკლესიას გვიკურთხებდეს და ათასში ერთხელ მაინც ჩვენს სოფელშივე გაგვაგონებდეს წირვა-ლოცვას.

## ნამცეც-ქუცმაცი

ქართლს რომ მეთაურად გორი ჰყავს, თუ სხვით არაფრით, ჭორით მაინც, ამას ხომ ეჭვი აღარა აქვს, რადგან ეს ჭეშმარიტება პოეტმაც-კი დაამღერა თავისს ტკბილს ქნარს და ამიტომ საქართველოს ყოველ კუთხივ ცნობილია, მაგრამ იმერეთსაც რომ ჰყავს ასეთი მეთაური, ეს-კი ვგონებთ ბევრმა არ იცის. ეს მეთაური, ადვილად მისახვედრია,— გახლავთ ხონი, ის ხონი, სადაც გორსავით ჭორი უფრო ბევრია, ვიდრე ღომი, და უფრო ხშირი, ვიდრე ციება. ჭორი ორივეს სჭარბობს, ღომსაც, რომლითაც იკვებება დღე ყოველ ამ დაბის დიდი და პატარა, და ციებასაც, რომელიც ისეთი არა იშვიათი სტუმარია, რომ ქათმებსაც-კი ეწვევა ხოლმე და, ხალხი რომ არ უთავდება, ამ საცოდავ შინაურ ფრთოსანთაც-კი ააკანკალებს ხოლმე.

ამ ჭორითა, ღომითა და ციებით განთქმულს დაბაში ნიჭიერი ხალხი სცხოვრობს, მაგრამ ამ ნიჭს სამკაულად თან ბევრიც სხვა ღირსება ერთვის: პირმოთნეობა, ბეზღობა, დავიდარაბის მიდევნა, შურისძიება, მოურიგებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა და სხვანი მრავალნი. ამ მრავალს ღირსებას, რასაკვირველია, ჭორი აგვირგვინებს. ხონელი იმდენს ლუკმა ღომს არ ჩაიდებს პირში, თვალზედ რომ მიდგეს საქმე, რამდენსაც ჭორს ალმოიტყვის. ერთის სიტყვით, ჭორი რაშზეა ამხედრებული და თამამად და შეუპოვრად დაგლიჯინობს ამ დაბაში ერთის ბოლოდგან მეორემდე, ჭორის გუდა მთელი დღე გაბერილია და ტფილისის წყლის მილზედ უკეთ ჰმუშაობს.

ჭორის მხრივ გორი და ხონი რომ შეადაროთ, უკანასკნელი კარგა დასძლევს, მხოლოდ ხონი იმითი თუ ჩამორჩება გორს, რომ იმისი სახელი ჭორს როგორღაც არ ელექსება, ჭორი და გორი ძალიან ლამაზად გამოდის ლექსში და ჭორი და ხონი-კი ერთად ვერაფერი რითმაა და სახმარებლად გაზ. „მწყემსის“ საკრმელ ქვეშ მდგომი პოეტებიც იუკადრისებენ. ამიტომ ხონელებს გრძელი ეპისტოლე შეუდგენიათ, ისეთი გრძელი, რომ ცხრა ურემიც ვერა ჰზიდავს თურმე, და განზრახვა აქვთ სთხოვონ მთავრობას, რომ, ჯერ ერთი, ჩვენი დაბაც გააქალაქეთ, რათა ჭორიანს გორს ამ მხრივ თავი არ მოჰქონდეს, თუ არ მეტად, არა ნაკლებად ჭორიან ხონთანაო, და, მეორე, ნება მოგვეცით ჩვენს გაქალაქებულს დაბას ამიერიდგან ხორი ვუწოდოთ, რათა ეს სიტყვა პოეტებმა უფრო ადვილად მიალექსონ ჭორსაო. არ ვიცით, აუსრულდებათ თუ არა ხონელებს ეს სურვილი, მაგრამ ჩვენის მხრით-კი იმას ვურჩევდით, რომ, რაკი სახელის გამოცვლაზედ მიდგება საქმე, ისევ ისა სჯობია, რომ პირდაპირ ჭორი უწოდონ თავიანთ დაბას და ამით უფრო მკვიდრად შეუსისხლხორცდნენ ამ ადამიანის დამამშვენებელს ღირსებას. ეს ჩვენი რჩევა იმდენად ღირს-საცნობად მიგვაჩნია, რომ ეხლავე დაგვინათლავს ხონისათვის ეს სახელი და ამიერიდგან ჭორს ვუწოდებთ.

მოგახსენებენ, რასაკვირველია, ჭორად, რომ ამ დაბა ჭორში ერთი ახირებული უწვერ-უულვაშოთა აღსაზრდელ-გასაწვრთნელი სახლია, სადაც მეთაურები ყველაფერს უკუღმა სზომავენ, უკუღმა სჭრიან და უკუღმავე ჰკერავენ. მაგალითებრ, ამ სახლში იატაკები დღევანდლამდე თეთრის წამლით ილებებოდა თურმე და რაკი ეს სალებავი ტალახსა და ჭუჭყს ძალიან ეტანება, აღსაზრდელებსა ჰქონდათ კისრად დაჭდეული მოვალეობა დღესასწაულს დღეებში იმის განწმენდისა და განსპეტაკებისაო. იქავე მეთაურები დანარჩენს არა-მეთაურებს ჩაის აძლევენ და შაქარს-კი არა, ასე რომ ჩინელებსავით უშაქროდ ჩაის სმას უნდათ მიაჩვიონო. იქავე აღსაზრდელებს ხუთი-ექვსიე წლის ხალათი აცვიათ, ისეთი დაძონძებული, ისეთი დაკერებულ-დანაჭრებული, ისეთი დაჩულული, რომ ატოლის გლახები გეგონებათო. იქავე აღსაზრდელნი ციებ-ცხელებისა და სახადის ანგელოზებსა ჰგვანან, რადგან ჭამა იმათ არ უვარგათ, სმა იმათ არა აქვთ რიგიანი და ჯაფა-კი თითოს სამის კაცის ოდენა აძევსო. იქავე კარტოფილს ქუთაისიდგან ფუთს მანათად და მანათ ნახევრად ჰყიდულობენ მაშინაც-კი, როდესაც ეს კუჭის საზრდო ექვს შაურად და ორ აბაზად ჰფასობსო; ერთხელ, წარმოიდგინეთ, ოხრახუშიც-კი ფუთი ორ მანათად იყიდეს ქუთაისიდგან, თუმცა ეს ბალახი ჭორშივე იმდენია, რომ გრძელ-ყურა ბატონებსაც-კი მოყირჭებული აქვთ და ცხვირს აღარ აკარებენო. იქავე საუცხოო ბაღი იყო, ღობით შემოვლებული, მაგრამ მეთაურთ-მეთაურმა ეს ღობე გადააქცია, ბაღი, იმის გამშენებლის სიძულილით, არამეტყველებს გააქელვინა და ეხლა ხელ-ახლავ შეუდგა ახალის ბაღის გაშენებას და ახალის ღობის შემოვლებასაო. იქავე კანონის ციცხვით ავი და კარგი ისეა დომხალსავით არეული, რომ თავი კუდის წვერზეა ჩამოკანტურებული და კუდი მარჯვენაზეა გამობმულიო.

მოგახსენებენ კიდევ, რომ... მაგრამ ერიჰაა, რას არ მოგახსენებენ, რასაკვირველია, ჭორად, მაგრამ პატრონი და თვალ-ყურის მდებელი ვინ არის. ისე არიან გართულნი ჭორელები ჭორებით, რომ თავიანთ დაბის უბედურება-ბედნიერებას ერთად-ერთს საქვეყნო მოამბეს—გაზეთსაც-კი არ აღირსებენ ხოლმე: გაზეთები მიდის ჭორში, მაგრამ ჭორიდგან არა მოდის-რა გაზეთებში. დაბა ჭორი ჭორში სცურავს, ჭორში ჰგორავს, ჭორში ჰხნავს და ჭორში სთესავს, ჭორია ჭორელების სულიერი საზრდოცა და ხორციელიც, ჭორია იმათი მასულდგმულებელიცა და მაცხოვნებელიც.

დიაღ, ასეა, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი, ვცდი, და ცდა ხომ ბედის წინამორბედი მოციქულია, და მივმართავ ბ-ნ ჭორელებს შემდეგის თხოვნით: თქვენის დაბის გაქალაქებას, თქვენის ხონის გახორებას, ან, რაც უფრო უკეთესია, გაჭორებას, ოდნავ, მცირეს ხნით თავი აართვით ჭორს, კალამს მოჰკიდეთ ხელი, თავი მოიფხანეთ და თქვენს წყალობას გვაღირსეთ. შეგვატყობინეთ სწორი, და არა ჭორი, რა სახლია ეგ უწვერ-უულვაშოთა აღსაზრდელ-განსაწვრთნელი სახლი, რად ახირებულობს აგრე, როგორც ჭორად დადის, და ან მაგ სახლ-სადგომის მთავარ-მეთაურს გონებრივი ციებ-ცხელება ხომ არ შეჰყრია. აღნუსხეთ და აჰკინძეთ ყოველივე წვლილად, გარკვევით და გარჩევით, და შემდეგის ადრესით გამოჰგზავნეთ: გაზეთ „ივერიის“ მენამცეც-ქუცმაცე ბ-ნს დუშიკოს.

დუშიკო

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქ, თელავი. ყველა უბედურებასთან თელავის მაზრას ერთი სიკეთე ჰქონდა. მკვიდრთ თავისუფლად და უშიშრად შეეძლოთ ერთის ალაგიდამ მაზრისა მეორე ალაგამდის მიმოსვლა, მაგრამ ამ უკანასკნელს ხანში ეს სიკეთეც მოგვაკლდა და სწორედ გორის მაზრის ყოფაში ჩავცვივდით, რადგანაც ჩვენშიც გავრცელდა ხალხის გაძარცვა და თავს-დასხმა ავაზაკთ მიერ. მაგალითად მოგყავს რამდენიმე შემთხვევა: ამას წინად სოფ. შილდის მახლობლად დღისით 12 საათზედ ორმა ლეკმა-ავაზაკმა მოჰკლა გზაზე მიმავალი მოვაჭრე შილდისა სოლომონ ბროლაძე, რომელსაც წაართვეს 50 მანეთი ფულად, ცხენი და სხვ. იმავე დღეს, იმავე გზაზე, იმავე ლეკებმა გაძარცვეს თელაველი მოქალაქე თომა პაპიევი, წაართვეს 30 მანათამდე ფული, რევოლვერი და კიდევ სხვ. 29 ნოემბერს, ღამე, სოფ. ვაჩნაძიანში შეუცვივდნენ თ. სვიმონ ჯანდიერიშვილს სახლში ორი ავაზაკი—ქართველი, რომელთაც გაიტანეს სახლიდან 70 მ. ფულად, 18 ჩაის და 22 სადილის ვერცხლის კოვზი, ქამრის ვერცხლის

---

წილში მომქმედთა რიცხვიდამ და მაინც რომანს იოტის ოდენა არა დააკლდება რა უიერემიოდ...

ესმას ბახვა უყვარდა წმინდის სიყვარულითა, ბახვას—ესმა. ბახვამ ესმა შეირთო და დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერადა. გვეგონა, რომანი თავდებაო, მაგრამ დიალაც არა. ავტორს მოუწადინებია ბოლო მოჰღებოდა ასეთს კანონიერს სიყვარულსა და ბედნიერებას ახალგაზდა ცოლ-ქმართა, სიკვდილითა და მწუხარებით გათავებულიყო რომანი და, აი, უცბად, deus ev mactina-სავით მოგვივლენს ავტორი იერემია წარბას, რომელიც ტრაგიკულად ათავებს რომანს. რადა? იმადა, რომ ავტორს სურს იერემიასა და ცოლ-მოკლულ ბახვაზე ააგოს მთელი მეორე ნაწილი რომანისა, რომელიც შეიცავს 150 გვერდს „ცდისას“. თქვენ შეგიძლიანთ ეს მეორე ნაწილი რომანისა დასახოთ ცალკე რომანად, რომლის უმთავრესს ვაჟ-გმირად იქმნება ცოლ-მოკლული ბახვა (თუნდ სხვა ვინმე იყოს,—ეგ სულ ერთია) და მკვლელი იერემია...

იერემიამ მოჰკლა ლამაზი, პატიოსანი, ქმრის ერთგულებით გამსჭვალული ქალი, ეს სუსტი და ნაზი არსება, ესმა. გესმით? ვაჟკაცმა მოჰკლა ქალი. განა ეგ გმირული საქმეა?! განა ამის მზგავსს რასმე ტარიელი, ან ავთანდილი იკადრებდნენ? რა შორს მივდივართ! ეხლანდელი პატიოსანი ვაჟკაცი, ან უბრალო დონჟუანიც-კი ამას აღარ იკადრებდა. თუ-კი დღევანდელი ჩვენი ცხოვრება იერემიასთანა ქურდ მძარცველსა და „უსინიდისო“ ვაჟკაცებს ჰშობავს და ზრდის და არა ნამდვილს, პატიოსნებისა და მამულისათვის თავ-განწირულს გმირებს, აქ ავტორს რა ბრალი აქვს: დამნაშავე თვით იგი ცხოვრება ყოფილა, რომელიც ზრდის ამ გვარ სუტ-გმირებს. უბედურება და ხათაბალაც ის იქნება, თუ ჩვენის თავად-აზნაურობის ცხოვრება ისე ჩამოქვეითდა, რომ „იერემიებმა“ მრავლად და თავისუფლად დაიწყეს ფარფაშობა ჩვენში.

ნათქვამიდან აშკარაა, იერემიას არა ჩაუდენია რა „საქმენი საგმირონი“. რასაც თავის სასარგებლოდ, ანუ თავის საქმისათვის მოქმედებს იერემია რომანის მეორე ნაწილში, ყოველსავე ამას აკეთებს ვალიდას მეოხებით, ანუ უკედა ვსთქვათ ყველაფერს აკეთებს ვალიდა, ხოლო იერემია, ანუ ვალიდას და ან მის მიერ დაწყობილს გეგმასთან, დასდევს ლანდსავით. ამის გამო იერემია კიდევ უფრო უღირსს ადამიანად მოსჩანს და მკითხველს მისს სურათიდან გონებაში რჩება მხოლოდ მისი გარეგანი გმირული შეხედულობა, რომლითაც ამკობს ავტორი იერემიას.

მეორე ნაწილში ავტორი გაგვაცნობს დიდკაცობის ცხოვრებას და გამოჰყავს სცენაზე: მთავარ-მმართებელი, გენერლები, მათი ცოლები, პოლკოვნიკები, თავადები და უმაღლესი სამოსამართლო დაწესებულების მოხელენი. ამათში თავისის მნიშვნელობითა და ეფექტით ყველას სჩრდილავს „ლიხთ-იმერეთის ასული“—ვალიდა. რა ხასიათია, რა არსებაა ვალიდა? ძნელია ამის პასუხი მაშინ „როცა საგნად აქვს კაცს ლიხთ-იმერეთის ასულის დაბუწულის ანგარიშების გამორკვევა“. ეს-კი გვგონია, რომ ვალიდა ნამდვილი ადამიანია და არა მხოლოდ ავტორის ფანტაზიაში დაბადებული. სწორედ გაყვანილია თავით ბოლომდის მისი ხასიათი, თუ არა,— ეგ სულ სხვა საკითხავია.

„პირვ. ნაბიჯის“ მომქმედნი მომეტებულ ნაწილად ჩვენი კარგი ნაცნობნი არიან. მაგრამ ზოგი მათგანი მკრთალად, განყენებით და ზოგადის ნიშნებით არის დახატული, ზოგი-კი რამდენსამე კალმის მოსმითაც ცოცხლად არის გამოყვანილი.

აქა-იქ მეტად ხელოვნური აწერილობანიც მოიძებნება რომანში. მაგალითად: აი რანაირად ასწერს ავტორი ქალ-ვაჟის მეგრულ-აფხაზურს სხაპა-თამაშსა.

„ქალ-ვაჟი ცეკვავდა, მაგრამ მათი თამაში დედალ-მამლის მერცხლების ჭკარში ტრფიალებას ემგზავსებოდა. ხან ერთმანეთს დაუახლოვდნენ ნაზის ტანის რხევით და შედგებოდნენ ერთის წუთის გადით; ვაჟი ამ დროს სცილობდა, ქალისთვის თვალი თვალში გაეყარა. მაგრამ ქალი უცბათ მოტრიალდებოდა და გაშორდებოდა, თითქოს ვაჟს უტიფრობის გულისთვის გაებუტაო. მერე გამორებული ისევ ვაჟის პირდაპირ დადგებოდა და დაუწყებდა ნაზის ტანის რხევით ჯავრობას, ვაჟი გაეშურებოდა მისკენვე, ქალი კატასავით გახზე განავარდებდა, მაგრამ ვაჟიც იქითკენ გასტებოდა, თითქოს ცდილობს მის დაჭერასო... ეს იყო შემაქცევარი რაღაც გატა-თაგვობაა, სხაპუა, ანუ მეგრულ-აფხაზური თამაში. ვაჟის რხევაზე მისი ბაძლაყის ფოჩიც თავის ჩრდილს ეთამაშებოდა. ქალი ვაჟს ემალებოდა თამაშობაში და ვერც დამალვოდა, შემდეგ ისევ გაშლიდეს ხელებს მერცხლის ფრთებივით და დაჰქროდენ წრეს გარემო სასამურათ“... (85 გ. 1 ნაწ.)

ავტორის ლიბერალური შეხედულობა ცხადად გამოსჭვირს სხვა-და-სხვა ალაგას რომანში. მაგრამ იმისთანა ალაგიც მოიძებნება, რომლის წაკითხვით მსუბუქი მკითხველი ეჭვში შედის, ვაი თუ ავტორი კონსერვატორობასაც თანაუგრძნობდესო.

...„ვინ იცის, რამდენი დიდებული დრო ახსოვდა ამ მამულის *) გარემოს, მისს განიერ ეზოს, მისს ოდესმე დიდებულს ქვითკირის შენობას. რომელსაც, ესლა კედლები ჩამონგრეოდა და ორი გატიტვლებული, მეგლად აყუდებული, თავ-გადანგრეული ბუხარი მწუხარებით დღე-და-ღამ თავს დასტიროდა დიდებულის ოჯახის დამხობას. აბა, ვინ მოსთვლის, რამდენი წარჩინებული ლხინი გადახდილა ამ განიერ ეზოში. ისე დღეობა როგორ ჩაივლიდა, რომ აქ სამი, თუ ოთხი ძროხა მაინც არ დაკლულიყო, სამი თუ ოთხი საპალნე ღვინო ერთ იჯრაზე არ დალეულიყო!.. ნეტავი იმ დღეს, როდესაც ამ განიერ ეზოში ჯირითი, მარულა, ყაბახი იყო გამართული და ლხინი ცისკრამდის უწყვდა თავის „კალოს“. ნეტავი იმ წუთს, როცა დახატული მანდილოსნები მინდვრის ყვავილებად გამოიფინებოდნენ ამ განიერ ეზოზე. მათ შესტრფოდენ ჩერქეზულათ გამოწყობილი ახალგაზდა ვაჟები, მათს ერთმანეთში მხიარულებას, ტრფიალებასა და ლაღობას, დრო-გამოშვებით მათ წკრიალა ხმით კისკისსა რა სჯობდა!“... (78,79 გ.გ. I ნაწ.)

მართლაც რა ემჯობინებოდა... მაგრამ გვერდზე იმ სამასის კომლის, რომელთ „ნაჭირნახულევი ამ დიდს ოჯახში დაუშრეტელ სიმდიდრის წყაროდ ქუხდა“, იმ სამასის კომლის ტანჯვა-წვალებისა და კვნესის მოსმენაზე უარესი და უმწარესი რაღა იქმნებოდა!... დავუმატებთ ჩვენც ჩვენის მხრით...

(დასასრული იქნება)

*) იმ მამულის, რომელიც საჯარო ვაჭრობით იყიდა ბახვამ.

ღილები, 18 ცალი, ერთი ვერცხლის ღილი, ხანჯალი და ერთიც ბეჭედი. თითონ ჯანდიერიშვილი რევოლვერით ხელში მძიმედ დასჭრეს. 1 მდგომარე დეკემბერს იგივე ავაზაკნი დასცემიან ბინდისას, თელავის შემოსავალში, სულ $^1/_4$ ვერს. მანძილზე ქალაქიდამ, თელავის რამდენსამე მოქალაქეთ, სახელდობრ: სერგო სტეფანოვს, სანდრო მეტრეველს და იაგორა გეურქოვს, პირველისათვის სამი მანეთი წაურთმევიათ, მეორესათვის თოფით ცხენი დაუჭრიათ და მესამე-კი, თუმცა თოფი ესროლეს, უვნებლივ ხელიდამ დასხლტომიათ. იმავე დროს ამოუვლია გზაზე თელავში მცხოვრებელს ბ-კო ვამეძეს, რომელიც, რა შეუნიშნავს გზაზე ავაზაკნი, შეჰკითხებია, ვინა ხართო. ამ კითხვაზე იმათ უპასუხებიათ: „ვინც ვართ, ჩვენა ვირთ— გასწი, გაიარე შენთვის, შენისთანა, კოტრს ხელს არ ვახლებთ“-ო. მიუხედავად ამისა, იმავე ღამეს იგივე ავაზაკნი დაეცნენ თელავის მოქალაქეს სანდრო როსტომოვის სახლს ქ. თელავში. სამზარეულო ოთახის კარები გარედან გადაეკეტათ, რათა შიგ მწოლი მსახური როსტომოვისა არ გამოსულიყო, და შემდეგ ამისა მიმართეს სახლის კარებს, მაგრამ, მათ საუბედუროდ, სახლის პატრონი კარების მტვრევაზე გარედ გამოსულიყო და რევოლვერის სროლით ბოროტ-მომქმედნი დაეფრთხო. სახლის პატრონის ძახილზე და თოფის ხმაზე არც ერთი დესეტნიკი არ გაჩნდა, თუმცა აღნიშნულის მოქალაქის სახლი შიგ ქალაქის შუაგულშია,—სამოქალაქო ბაღის გვერდზე. არა ერთხელ არის შენიშნული, რომ ღამის ათ საათიდამ, როცა ქალაქში მოძრაობა მისწყდება, ქუჩაში ვერც ერთს დესეტნიკს ვერ იხილავთ, თუმცა მათი რიცხვი 15 აღემატება. ამ უბედურებას მხარდამხარ მოსდევს ქალაქის გაუნათებლობა. ხანდახან ისეთი სიბნელეა ხოლმე, რომ კაცი თითს ვერ მიიტანს თვალთან. ღვთის მადლით, ქალაქში მოიპოვება რამდენიმე ფანარი, მაგრამ არ ვიცით, თუ ქალაქის მმართველნი რატომ არ ზრუნავენ ღამ-ღამობით მათ ანთებას. დასასრულ მივაქცევთ ადმინისტრაციის ყურადღებას თელავის შემოსავალში მყოფს დუქანს, რომელსაც შ—ვისას უწოდებენ. როგორც ხალხში ხმა დადის, ეს დუქანი ავაზაკების ბუდეა, და ურიგო არ იქნება მისი გაუქმება; აგრეთვე არ იქნებოდა ურიგო ქალაქის მმართველთ ეშუამდგომლათ თელავში მყოფ ჯარის უფროსთან, რათა მას დაეთმო რამდენიმე შეიარაღებული ჯარის კაცი ღამის დარაჯად.

არამკითხე მოამბე.

## წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით სამს თუმანსა და ორს მანეთს ჩემ მიერ შეკრებილს ქ. ეკატერინოდარში ალექსანდრე ყაზბეგის (მოხსუზარიძის) ფონდის სასარგებლოთ და უმორჩილესად გთხოვთ სია შემომწირველთა დაბეჭდოთ:

სიმონა ცუცქირიძემ 3 მან., ალექსანდრე ხუციევმა 2 მან., ნიკოლოზ ტულჩინსკიმ 2 მან., ნიკო ბადურაშვილმა 1 მან., ლიზა ბადუროვისამ 1 მან., დიმიტრი არაქჩევმა 1 მან., პეტრე კანდელაკმა 1 მან., ივანე ვაშკლევიჩმა 1 მან., გიორგი სუმიონოვმა 1 მან., ტატო გაბაშვილმა 1 მან., ალექსანდრე გაბაშვილმა 1 მან., ნიკოლოზ ცუცქირიძემ 1 მან., გიორგი ბაცგოუროვმა 1 მან., მოსე გიევმა 1 მან., ლევან როზომოვმა 1 მან., ილარიონ ლევაკვამ 1 მან., ლევან ლევაკვამ 1 მან., სერგეი ბულგაკოვმა 1 მან., ივანე კასიანინმა 1 მან., ალექსანდრე კარაულოვმა 1 მან., გრიგოლ ოხოტნიკოვმა 1 მან., ნიკიფორე კალანტაევსკიმ 1 მან., ვლადიმერ სოინიკოვმა 1 მან., ნიკიფორე პავლოვმა 50 კაპ., ლევან კინწურაშვილმა 50 კაპ., ალექსანდრე გეურქოვმა 50 კაპ., ნესტორ ხაჯაგოვმა 50 კაპ., დავით ბადურაშვილმა 50 კაპ., ნიკოლოზ ცუცქირიძემ 50 კაპ., დარიკო ინიევისამ 1 მან., მიხეილ ინიაშვილმა 1 მან. სულ 32 მან.

მიხეილ ხარიტონის ძე ინიაშვილი
ქ. ეკატერინოდარი
27 ნოემბერს

## სასამართლოს მატიანე

(არხიმანდრიტ ევგენიოზის მოკვლა თელავში).

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 260).

ამას შემდეგ ბრალმდებელმა საბუთები მოიყვანა და მსაჯულების ყურადღება იმას მიაქცია, რომ არხ. ევგენიოზის ქონებიდგან არაფერი არ იყო წაღებულიო; ეს ამტკიცებს, რომ მკვლელს მოკლულის გასაძარცვად არ ჩაუდენია ეს ბოროტ-მოქმედებაო. თუმცა ნივთები აერ-დაერიად, მაგრამ ხელი-კი არაფრისათვის ეხლოთო. მაშასადამე, თუ მკვლელობა გასაძარცვავად არ ჩაუდენიათ, სხვა რამ მიზეზი უნდა იყოს, ან შურის ძიება ან მტრობა უცხოს, გარეშეს, როგორც გამოძიებიდგან და საქმის გარჩევიდგან სჩანს, რომ არხ. ევგენიოზის მტრობა არავის არა ჰქონდა, მაშასადამე, შინაურები უნდა იყვნენ დამნაშავენიო, ე. ი. სოლომონ ებიტაშვილი, ქრისტოდულო პანტელეიმონი და არხ. ნიფონიო. მაგრამ ებიტაშვილს რად უნდა მოეკლა არხ. ევგენიოზი, ის კაცი, რომელიც ერთად ერთი წყარო იყო ებიტაშვილის ცხოვრებისაო. ებიტაშვილი ერთს თუმანს იღებდა არხ. ევგენიოზისაგან და თქვენ კარგად იცით, რომ გლეხკაცისათვის ერთი თუმანი ძალიან კარგი ფულია, მით უფრო, რომ ებიტაშვილს შურის-საძიებელი არა ჰქონია-რა არხ. ევგენიოზთან. ქრისტოდულოც არ ჩაიდენდა ამ საქმეს, თუ რომ სხვა ვინმე არ ეყოლებოდა გამძრახებელი. დაგვრჩა არხ. ნიფონი და აი, თუ კარგად დაუკვირდეთ საქმის გარემოებებს, მიხვდებით, რომ სწორედ ეს არის არხ. ევგენიოზის მკვლელობის მოთავეო. მიზეზი მკვლელობისა შურისძიებაა. აშკარადა სჩანს, რომ არხ. ნიფონს არხ. ევგენიოზის ჯავრი სჭირდა. არხ. ნიფონი იყო გამოგზავნილი სოფ. ზემოხოდაშენში მამულების მისაღებად, რადგანაც არხ. ევგენიოზს იწვევდენ საბერძნეთშიო. არხ. ევგენიოზს-კი ეს არ ეპიტნავებოდა, რადგანაც ძალიან ტკბილად სცხოვრებდა სოფ. ზემოხოდაშენში და კარგი შემოსავალიცა ჰქონდა, მოწმების ჩვენებით, 2000 მანეთამდე წელიწადში. რასაკვირველია, ევგენიოზი, თუ მხელველობაში მავიღებთ იმის ძუნწს და ფულის მოყვარულს ხასიათს, თავის დღეში არ გასცვლიდა ამ ცხოვრებას მონასტრის ცხოვრებაზე, სადაც სამარხულოდ ეპატიჟებოდნენ. კარგად მოგეხსენებად მდგომარეობა იმ ბერებისა, რომელნიც შესდგომიან სულის მონანიებას ევგენიოზი არ აბარებდა ნიფონს მამულებს და ამის გამო დიდი უსიამოვნება და აურზაური ჰქონდათ ერთმანეთში; ხშირად ჩხუბიც-კი მოსდიოდათ ხოლმე. ერთხელ იქამდისაც მიაღწია თურმე უსიამოვნობამ, რომ არხ. ევგენიოზმა ნიფონს ხალხში ყური დაუძახა. ამ გარემოებას ამტკიცებს ნიფონისავე წერილი, მონასტერში გაგზავნილი. რასაკვირველია, არხ. ნიფონის გულში თანდათან იმატებდა მტრობა, ევგენიოზის ქცევით გამოწვეული; ნიფონისავე წერილი ამტკიცებს, რომ მეტად შევიწროებული ყოფილა, ცხოვრების სახსარი არა ჰქონია-რა და ყოველივე შემოსავალი ევგენიოზის ხელში ყოფილა. ამას რომ ის შეურაცხებაც მივუმატოთ, რომელსაც ნიფონს ევგენიოზი აყენებდა, ადვილად შესაძლებელია, რომ ნიფონს გულში გაეფიქროს, როგორმე მოვიშორებ თავიდგან ამ ჩემთვის არა-სასიამოვნო კაცსაო. რით მოეშორებინა? არხ. ევგენიოზი ნებაყოფლობით არ მიდიოდა, მაშასადამე, ძალა უნდა ეხმარა, მაგრამ ძალითაც არ შეიძლებოდა და, აი სწორედ ამ დროს მოუვიდა ალბად ნიფონს თავში ფიქრი ევგენიოზის მოკვლისა; მით უფრო, რომ იმისი ქონება ამასა რჩებოდა; თავის ანგარი სურვილი უკმაყოფილდებოდა. ნიფონიც შეუდგა ამ ფიქრის განხორციელებას და იშოვნა კიდეც მომხრე, ქრისტოდულო, რომელიც კარგადა ჰგრძნობდა თავის და არხ. ნიფონის შევიწროებულს მდგომარეობას. მარტო ებიტაშვილის შიში-ღა ჰქონდათ, მაგრამ იფიქრეს, ფულით ადვილად შევისყიდითო. ასეც მოხდა. თუმცა ნიფონმა ქართული არ იცოდა, მაგრამ ქრისტოდულოს შემწეობით, რომელიც ცოტაოდნად ლაპარაკობს ქართულს ენაზედ, ადვილად დაითანხმა ებიტაშვილი და ამ ორის კაცის შემწეობით განზრახვა შეისრულა. შეიძლება ბევრმა გაიკვირვოს: „არხიმანდრიტი და მკვლელიო?“ მაგრამ, ბატონებო, ნუ დაგავიწყდებათ, როგორი თაყვანისმცემელიც არის არხ. ნიფონი ეკკლესიისა. მღვდ. გოგოლაძე ამბობს, რომ არხ. ნიფონი, რომელმაც ზემოხოდაშენში რვა თვეე დაჰყო, სულ ერთხელ იყო ეკკლესიაშიო, ისიც 25 ქრისტიშობისთვეს, ე. ი. მკვლელობის მეორე დღეს. არ ვიცი ეს რას მივაწერო, დიდს უქმე დღეს, თუ გაღვიძებულს სინიდისის ქენჯნას. ნიფონის ასეთი საქციელი ამტკიცებს, რომ ის მარტო სახელს ატარებს არხიმანდრიტისას და გულში-კი არხიმანდრიტისა არა აქვს-რა. თორემ რად უნდა მოჰქცეოდა ასე გულ-გრილად ეკკლესიას, იმავე სარწმუნოებისას, რომლისაც თითონ არის, მით უფრო, რომ ეკკლესია იმის სახლთან სულ რამდენიმე ნაბიჯის მანძილზეა. უმთავრესი საბუთი არხ. ნიფონის წინააღმდეგ ებიტაშვილის ჩვენებაა. თითონ არხ. და ქრისტოდულოს ჩვენებითვე მტკიცდება, რომ იმათ შორის არავითარი უსიამოვნება არა ყოფილა; მაშასადამე, ებიტაშვილი რაღა მაგათ აბრალებს, გამაძრახესო, და არა სხვას. ბრალმდებელმა კიდევ ბევრი ილაპარაკა და თავისი სიტყვა ბოლოს ასე დაასრულა: „ადამიანს რომ ერთი ცალი წკეპლა მისცეთ, ადვილად გადაამტვრევს, მაგრამ მთელის კონის გადამტვრევა-კი გაუჭირდება. ჩემს საბუთებსაც თითო-თითოდ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ყველა საერთოდ-კი საკმარისია, რომ იგი იცნათ დამნაშავედ, ვინც მე დავასახელე.

(დასასრული იქნება)

## პატარა შენიშვნა

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ივერიის“ მე-244 ნომერში ბ-ნ ვ. აბაშიძის საბენეფისოდ გამართული წარმოდგენის თაობაზედ დაბეჭდილ, მითომ-და რეცენზიაში, ბ-ნი მანოელიძე, სხვათა შორის, სწერს: „ერთი რამ შევნიშნეთ წარსულ წარმოდგენაზედ. როდესაც ფარსს არდგენდნენ და დარია ჰანჰურაძისამ მღერა დაიწყო, ამ დროს ქანდარაზედ ვიღაც კაცი იდგა და ხელებით ანიშნებდა იქ მყოფთ ტაშის დაკვრისა და შეწყვეტის დროს. პირველადა ვხედავთ ჩვენს თეატრში „კლაკიორებს, აქამომდე არა ყოფილა და სასურველია არც ამას იქით შემოვიდეს ჩვეულებად. კიდეც ამას მიეწერება ის გარემოება, რომ ზოგიერთის არტისტის გალობის დროს ქანდარიდგან გახშირებული სტვენა მოისმოდა...“ და სხვ.

ეს რომ გამოთეთრებით ვსთქვათ, ასე გამოვა: ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა როდესაც მღეროდა, იმ დროს ქანდარაზედ ვიღაც კაცი ანიშნებდა იქ მყოფთ ტაში დაუკარითო, და „ზოგიერთი“ არტისტები როცა მღეროდნენ, მაშინ-კი იგივე კაცი ანიშნებდა—დაუსტვინეთო. ახლა ისიც თუ გავარკვიეთ, რომ კლაკიორი მხოლოდ იმის დაქირავებული უნდა ყოფილიყო, ვისაც ტაშს უკრავდნენ და ჩხოლოდ იმის საწინააღმდეგოდ, ვინც იმ „ზოგიერთ“ არტისტებში შეიძლება ქ-ნ საფაროვი-აბაშიძის მეტოქედ ჩაითვალოს, და რომ იმ სამ მომღერალ არტისტში, ვერც ბ-ნი რატილი და ვერც ბ-ნი ცხომელიძე ვერ ჩაითვლება ხსენებული არტისტის ქალის მეტოქედ, მაშინ აუცილებლად ეს დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ იმ ვიღაც კლაკიორს ქ-ნ ძნელაძის სიმღერის დროს უნიშნებია სტვენა. ამ გვარად რეცენზენტის სიტყვით 13 ამ თვის წარმოდგენაში ქ-ნ საფაროვ-აბაშიძისას ხალხი დაუქირავებია „ქანდარაზედ“, რომ მისთვის ტაში დაეკრათ და ქ-ნ ძნელაძისათვის-კი დაესტვინათ.

დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ უსაფუძვლო და ურიგო ცილს თითონ რედაქციავე გააქარწყლებდა, მაგრამ, რაკი მთელი ათი დღის მოლოდინმა ამაოდ ჩაგვიარა, ამიტომ იძულებული ვართ ჩვენ მაინც ვსთქვათ ამაზედ ორიოდე სიტყვა, იმიტომ-კი არა, რომ იგი თავის თავად ღირდეს ლაპარაკად და პირველივე შეხედვით მანოელიძის მხრივ, თუ ცუდ განზრახვად არა, მოჩვენებად და ზმნებად მაინც არ ჩაითვალოს, არამედ იმიტომ, და მხოლოდ იმიტომ, რომ თავის უმართებულებასთან ამ ცილს შეუძლიან დიდ შეცდომილებაში შეიყვანოს ყველა, ვინც ჩვენი თეატრის გარემოება და მისი საზოგადოებასთან ურთიერთი დამოკიდებულება კარგად არ იცის; ამასთანავე იმიტომაც, რომ ქართული ხელოვნების ასპარეზზედ ქ-ნ ძნელაძის პირველ ნაბიჯს ისე ძვირად ვაფასებთ, რომ არ გვინდა ამ გზაზედ იგი უსაფუძვლო და მოუფიქრებელმა ჭორებმა და მითქმა-მოთქმამ ცოტაოდნადაც არის გული გაუფუჭოს.

კლაკიორს, ესე იგი დაქირავებულ მსტვენავ-მოტაშეს იმ ადგილას და იმ ხალხში შეუძლიან არსებობა, სადაც თეატრი და საზოგადოება ერთმანეთისაგან სრულებით განცალკევებულნი არიან და ერთმანეთთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ; სადაც სცენის მომქმედნი (მიმოსები) სრულებით განსაკუთრებულ წოდებას შეადგენენ და საზოგადოებისაგან მოწყვეტილნი არიან; სადაც ერთის საქციელი და მოქმედება მეორეს არც ეკითხება და არც იცის და სადაც მაშასადამე ერთის საქციელი მეორისაგან ადვილად დაიფარება.

ჩვენი თეატრი-კი სულ სხვა გარემოებაშია. იგი ჯერ ისევ სცენის მოყვარულთა ხელშია, რომელნიც საზოგადოებისაგან განკერძოებულ რამ მოხელეებს არ შეადგენენ. ჩვენი აქტიორ-აქტრისები იმავე საზოგადოების წევრნი არიან, რომლისთვისაც ჰმოქმედებენ; ყველა იმათ მჭიდრო კავშირი და დამოკიდებულება აქვთ საზოგადოებასთან; ისინი თეატრს მხოლოდ დღეში სამი-ოთხი საათით ეკუთვნიან, ისიც წელიწადში მხოლოდ ხუთი თთვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენ დროს იმავე საზოგადოებაში ატარებენ, ვითარცა ნათესავები, მეგობრები, მოკეთენი, ამხანაგები და ნაცნობები. ჩვენი თეატრის მომქმედნი და ის საზოგადოება, ვისთვისაც ჰმოქმედებენ, ერთს ოჯახს შეადგენენ და მაშასადამე ერთმანეთის თვისება და საქციელი არც ერთისთვის დაფარული არ არის, ერთიერთმანეთისა ციცხვიც იციან და კოვზიც.

ამისთანა გარემოებაში კლაკიორები შეუძლებელნი არიან; ასეთ დამოკიდებულებაში საფიქრებელი არ არის, რომ რომელიმე ჩვენმა აქტიორმა ანუ აქტრისამ მსტვენავები დაიქირავოს მეორის გასათახსირებლად და ამასთანავე არ ეფიქრებოდეს, რომ იმავე საღამოს გამოაშკარავდება იმის საზიზღარი საქციელი, რომლისთვისაც მთელი საზოგადოების ზრახვასა და მოძულებასთან ადვილი შესაძლებელია მთავრობის რისხვაც თავს დაიტეხოს. განა ვისთვისმე და მეტადრე სცენაზედ მომქმედისათვის საიდუმლოს შეადგენს, რომ თვითონ მთავრობა არ აბოგინებს ამ გვარ დამნაშავეს, და ბევრი მაგალითებიც ყოფილა (რასაკვირველია, სხვა ერში), რომ კლაკიორის დამქირავებელი არტისტები ოცდაოთხს საათში გაუძევებიათ იქიდგან, სადაც ეს უგვანობა ჩაუდენიათ.

წარმოსადგენიც არ არის, რომ ჩვენში რომელიმემ ასე თავზედ ხელი აიღოს და საფაროვი-აბაშიძისას ხომ საიმისო სულაც არა სჭირს-რა; ჰკვაში მოსაყვანი სულ არ არის, რომ იმან აქამდის საქებელი თავი—საძაგელად და საძრახისად გაიხადოს. თვითონ ივერიის რედაქციისაგან ქართული თეატრის „მზედ“, „მთვარედ“ და ვინ იცის კიდევ რა სახელებით ნაქებს, განა აქამდის დაუძვირდა ტაში, რომ საქირავებელი გაუხდა? ეს ხომ ყურის მოყრუება და თვალების დახუჭვა იქნება, ასე რომ ვიფიქროთ. განა მუდამ ასე არ არის, რომ იმის სცენაზედ გამოსვლა

ალტაცებულ ტაშს აღძრავს ხოლმე მთელს თეატრში, და როდესაც-კი როლში სიმღერაც გამოერევა და იმღერებს ხოლმე, მაშინ ხომ ამ აღტაცებას ბოლო არ აქვს და სიმღერის გამეორებას მოსთხოვენ ხოლმე. მაშ რაღად გაჰკვირვებია რეცენზენტს, რომ იმის თამაშს 13 ამ თვესაც ჩვეულებრივ დახვდა საზოგადოება და რაში ეჭირვებოდა იმას დაქირავებული მოტაშეები, როდესაც დაუქირავებლადაც მთელი თეატრი მუდამ და ყოველთვის ტაშს უკრავს ხოლმე აღტაცებით? იმ ღამინდელ ჩვეულებრივს დახვედრაში რათ ეძებს ბ. მანოელიძე გარეშე მიზეზებს, როდესაც ეს მიზეზები იმისსავე ნიჭში და ხელოვნებაშია.

ის გარემოებაც არ უნდა დავიწყებოდა ბ. რეცენზენტს, რომ ამ ორ არტისტ-ქალს: ძნელაძისას და საფაროვ-აბაშიძისას უეჭველია ძალიან კარგად ესმის, რომ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ დაქირავებული მსტვენავ-მოტაშენი ვერაფერში ვერ გამოადგებიან, რადგან ერთმანეთის მეტოქედ ვერ დაისახვენ თავს—იმ უბრალო მიზეზით, რომ სხვა-და-სხვა რიგ ხელოვნებას მისდევენ, თავ-თავის საკუთარი სარბიელი აქვსთ მოქმედებისათვის და ერთმანეთს ადგილს ვერც წაართმევენ და ვერც დაიჭერენ. მაშ რაღაში დასჭირდა ქ-ნ საფაროვ-აბაშიძისას ქ-ნ ძნელაძის გათახსირება, თუ ეს რეცენზენტის მოჩვენება არ არის?.

ბ. მანოელიძე უწინდელ წარმოდგენებზედაც რომ ისე თვალ-გაფაციცებულად და ყურ-ცქვიტად ყოფილიყო, როგორც 13 ამ თვის წარმოდგენაზედ ყოფილა, შეჰნიშნავდა და გაიგონებდა, რომ იმ წარმოდგენის წინა ოთხ-ხუთ წარმოდგენაზედაც—როდესაც ქ-ნ ძნელაძისა ჯერ თბილისში არც-კი იყო ჩამოსული—„ქანდარაზედ“ იმ ღამინდელსავით მოძრაობა იყო ხოლმე და სწორედ ისეთივე სტვენა გაისმოდა, და მაშინ იმას კლაკიორები აღარ მოეჩვენებოდნენ, „ქანდარიდგან“ ჩვეულებისამებრ სტვენით გამოხატულს აღტაცებას *) ძაგებად აღარ მიიღებდა და ამ ძაგებას წინდაუხედავად და უსამართლოდ არ მოახვევდა თავზედ ქ-ნ ძნელაძისას, რომელმაც იმ ღამეს ისეთი ქება და პატივი დაიმსახურა თავის მშვენიერი სიმღერით და მონაწილეობის მიღებით, რომ არავის არა-მკითხე, ჰორებით შეზავებულ სარჩლს სრულებითაც არა საჭიროებდა.

ახლა ვიკითხოთ: რათ მოეჩვენნენ ბ. მანოელიძეს „კლაკიორები“? რაკი რეცენზიებით ვერაფერი ყურადღება ვერ დაიმსახურა, იქნება კლაკიორების აღმოჩენით მაინც იმედოვნებდა ყურადღების დამსახურებას? ან იქნება ჰსურდა ქალბატონი ძნელაძისათვის გაეწია სამსახური, და აბა რით გაუწევდა ამ სამსახურს, თუ არ დონ-კიხოტურად ქარის წისქვილებთან ბრძოლით, ოცნებითი კლაკიორებისაგან დაფარვით. მაგრამ კარგი იქნებოდა ამ განზრახვის ასასრულებლად ჩვენი თეატრი და იმის მომქმედნი პირნი არ აეღო იარაღად. ქართული თეატრის სპეციალი რეცენზიების მწერალი ვალდებულია იცოდეს, რომ ქართული თეატრი თავის გახსნა-განვითარებისათვის და ამ უხეირო დროში ფეხის მაგრა მოკიდებისათვის დახმარებას საჭიროებს, მოფიქრებულს, გონივრულ დახმარებას; ხოლო მითქმა-მოთქმა და აბდა-უბდად, გაკვრა-გამოკვრით ლაპარაკი მტრობის მეტს ვერას გაუწევს იმას. დიაღ, ეს უნდა კარგად ახსოვდეს, რომ არავის ათქმევინოს: ღმერთო იხსენ ჩვენი თეატრი მანოელიძის მსგავსი მსაჯულებისაგანაო!

ნ. ავალიშვილი

25 გიორგობისთვეს 1891 წ.
თბილისი.

*) სტვენის მიზეზი თავის დროზედვე იყო გამოკვლეული და აღმოჩნდა, რომ იგი მხოლოდ აღტაცების გამოთქმა იყო და სხვა განზრახვა არა ჰქონდა-რა.

ავტ.

---

## დეპეშა

6 დეკემბერი

**პეტერბურგი.** მოსკოვის სამოსამართლო პალატის პროკურორი მურავიოვი დანიშნულ იქმნა ობერ-პროკურორად უმართებულესის სენატის სისხლის სასამართლო საკასაციო დეპარტამენტისა.

მეორე კრება განსაკუთრებულ კომიტეტისა მემკვიდრე ცესარევიჩის თავმჯდომარეობით განსაკუთრებით იმ საგანს მოუნდა, რომ დაეხმარნენ უმეტესად დაზარალებულს მაზრებს ყაზანისა და სამარას გუბერნიისას.

კომიტეტს გარდაეცა $^5/_{12}$ შეწირულებათა 133,845 მან.

დიდმა მთავრებმა გიორგი, ალექსანდრე და სერგეი მიხეილის ძეთ 105 ათასი მანათი შესწირეს დამშეულთათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 5 დეკემბერი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8, 12 | 8, 16 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 163 | $163^1/_2$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1, 19 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 240 |
| —მეორისა | — „ | — „ | 220 |
| —მესამისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურ. ცელი | 200 | — „ | 201 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — „ | — „ | — „ |
| 6% | — „ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის სააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

# განცხადებანი


„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე | 2 | 50 |
| სამივე ტომი. | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. | „ | 15 |
| ცდო I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |

## აბრეშუმის თესლეულობა
## ძმ. პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსსალეთში)

(ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა

როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მაწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელს თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში და საბრეშუმო, სადგურში მუშტაიდში, დაბეჭდილის ოთხ-კუთხის ყუთებითა და თითოში რვა-რვა მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 119, ძმათ პასხალიდებს.

(6—1)

## ა. რალლე და ამხ.

მოსკოვში

სასახლის იჯარადარი

—ახალთ-ახალი—

საპონი

მე-XX საუკუნისა
თეთრი იასამანი
ყაზანლიკის ვარდი
ყრუახისა
საიზნაური

სუნელი წყალი

ზამბახისა
სპარსეთის იასამანისა
თეთრის იასამანისა
მინდვრის ყვავილებისა
თათრულის თეთრის იისა

ვაზელინის საპონი—ვაზელინის პომადა

ისყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა.

(5—2)

ეს განცხადება დაბეჭდილია „Правит. Вѣстн.“-ის 91 წ. 16 მარტის №-59-ში

ქ. ტფილისში

ახლად მივიღეთ ქალისა და კაცის ევროპიულისა და ქართულის ტანისამოსისათვის **კავკავისა** და **ქუთაისის** ხელოვნების

## შალ-აბრეშუმი

და წმინდა შალები საინტერესო ფერებისა.

არწრუნისეული ქარვასლა, მარცხნივ გალერეაში, № 114. საქონელი უფრო იაფად ისყიდება, ვიდრე სხვაგან. მამკერავიც იქვე ახლო იშოვება ყველანაირი.

(3—1)

თავადი დ. ლორთქიფანიძე

გრ. ჩარკვიანის სტამბასა და წიგნთ-საწყობში

ისყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნი

## მაცი ხვიცია

რომანი მეგრელთა ცხოვრებიდან

ანტონ ფურცელაძისა

წიგნი 342 გვერდია. ფასი 50 კაპ.

(5—1)

## ი. ალოიზი და ამხ.

აბრეშუმის ჭიის მოსაშენებელი სახლი მოლტიფაოში, კორსიკას (საფრანგეთში)

ვისაც ჰსურს ალოიზის ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლის შეძენა, უმორჩილესად ვთხოვთ, მიმართონ კავკასიის **სამეურნეო საზოგადოებასა და აბრეშუმის ჭიის სადგომს ტფილისში.**

ბევრის მსყიდველთ მიმართონ წევრს სამეურნეო საზოგადოებისას, ბ-ნს ვ. სულხანიშვილს, ტფილისში, კუკია, ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 39.

აბრეშუმის ჭიის თესლი ბ-ნ ალოიზისა ყუთებში არის, თითოში 1, 3, 5 და 10 მისხალი. ერთი მისხალი ღირს სამი აბაზი.

ამ აბრეშუმის თესლის სიკეთის თავმდებია ის გარემოება, რომ 1890 წელს მისი პატრონი დაჯილდოვებულ იქმნა საპატიო დიპლომით და დღეს კიდევ ითვლება ოფიციალურად თურქესტანისათვის ამ თესლის მხოლოობით მიმყიდველად

ი. ალოიზი

„სარპინიის ნაქსოვთა სამრეწველო ამხანაგობა“ სარატოვში

სეზონი 1892 წლისა—სარპინკა—სეზონი 1892 წლისა

ხელის საფეიქროსი, საკუთრად ამ ამხანაგობის ნაკეთობა პარიჟის უკანასკნელ მოდის ნიმუშების თანახმად.

ახალი—„**სარპინკა-რელიეფი**“—ნაქსოვი

ისყიდება მთელის ცალობითა და ადლობით, იგზნება რუსეთის ყოველს ქალაქში. ნიმუშები საუცხოო ალბომით გაეგზავნება ყველას, ვინც 42 კაპ. წარმოადგენს ფოსტის მარკებით; მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ უნდა იყოს.

ადრესი: *Саратовъ—Товариществу Сарпинокъ.*

(10—2)


Дозв. ценз. Тифлисъ, 7-го Декабря 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.